ГАЗЕТИ ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ИВЕРІЯ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებანი დასაბეჭდათ უნდა მიგვმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავგუსტის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ИВЕРІЯ“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ВИСАЦ ЗСЧРЧС ДАИКЗЕТОТЧС ГАЗЕТИ АЗ 1893 ЗЗЛИСАТЗИС, ЗИЗЗМРАТОТЧС.

ТФИЛИСЧИ: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებია უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო ამ სოფლის-მოძურთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის სწედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის აღკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

კახეთის შიმშილის გამო.

—

როგორც თითოეული ადამიანი, აგრედვე მთელი ერი მხოლოდ გასაჭირში იცნობება. ქართველ ერს, დიდი ხანია, დასჩნევია ეს თვისება. განსაცდელის დროს მედგარი ბრძოლა, მხნეობა და დიდ სულოვანობა უხვად მიუნიჭებია ღმერთს ქართველის ერისთვის. ასეთი ყოფილა ქართველი კაცი წინად და ასეთი არის დღესაც.

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა“.

ხალხის დამშევა ერთი ზეციური, უსაშინელესი რისხვათაგანია, და ვინც ამ სასტიკ სასჯელს ვაჟკაცურად აიტანს, ტირილსა და გოდებას არ მოართავს, ქება და დიდება ამას!

კახეთის დამშევამ ჩინებულად დაგვანახვა, რომ კახელები ისეთივე გმირები არიან დღესაც, შიმშილობის დროს, როგორნიც იყვნენ ისინი, უწინ.

კაცმა უნდა ჭნახოს თითონ კახელი, რომ შეადგინოს ჭეშმარიტი აზრი იმაზედ, თუ როგორის სულის სიმშვიდით და ფხიზლად მიეგება ხალხი შიმშილს, ანუ უკედ ვსთქვათ შურის ნაკლებობას.

ჩვენ თითონ გვქონდა შემთხვევა გვენახა და გველაპარაკა ხალხთან ამ საგანზედ სხვა-და-სხვა სოფლებში, გზაზედ და ქალაქ ადგილას. მაგრამ არაოდეს არ შეგვიმჩნევია, რომ მცირეოდენი უიმედობა და მწუხარება გამოხატულიყოს რომელისამე სახეზედ, ან ხმაზედ შემჩნეოდეთ უსასოობა. სადაც-კი არ ვიყავით, და ვისაც-კი არ შევხვდით, ნიადაგ ერთი და იგივე პასუხი გვესმოდა: „დიდ, ბატონო, შურის მოსავალი ნაკლები გახლდათ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ოდესაც წავედით, ერთმანეთს დავეხმარენით და ეხლა ხომ ახალმა მოსავალმაც მოაწია“.

ორის კვირის განმავლობაში თითქმის მთელი კახეთი დავიარეთ და ერთი შემთხვევაც არ გვინახავს, რომ ვინმე დამშეული სამოწყალოდ წასულიყოს... ხოლო შიმშილს რა შეუძლიან და რა გვარად აჭურის ხოლმე ხალხს თავის ბინიდგან—ეს ჩვენ შარშან დაგვანახა რუსეთის მაგალითმა. არასფერი ამის მზგავსი კახეთში არ მომხდარა. არც ერთი კახელი გარედ არ წასულა შურის საშოვრად, არც ერთ კახელს არ დაუწყვია მათხოვრობა, ხელი არ გაუწვდენია სამოწყალოდ და ეს დიდი საქმეა.

როგორ იქნება მართლა, რომ, როდესაც მთელს ქვეყანას მოსავალი დააკლდა, გაჭირვება არ ყოფილიყოს ხალხში, მაგრამ ამ გაჭირვების ატანა მოახერხა კახეთმა. მხოლოდ დიდისა და ძველის კულტურის ერს ძალუძს ასეთ ნირად დაუხვდეს განსაცდელს და არ დაჭარგოს ამ დროს არც სულის სიფხიზლე, არც თავ-მოყვარეობა. კახელს კაცს, უთუოდ, კარგად შეუგნია რუსთველის ლექსი: „ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვითკირსაო“, და უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი სიმტკიცე გასაჭირში დიდის პატივისცემის ღირსია.

ბუნებამ ყოველივე მოჰმადლა საქართველოს: მშვენიერი და მდიდარი არე-მარე, მკვირცხლი, გამსჯელი და გონიერი ხალხი, და, დასასრულ, ყოველ გვარი ბუნების სიმდიდრე, რომელსაც შეჭნატრიან გარეშენი. მაგრამ ჩვენ სულ იმას ვიძახით: ღარიბნი და გაჭირვებულნი ვართო! ასეთი საუკვედური უსამართლობა და უმადურობაა ღვთის წინაშე, და თუ ვერ მოვიხმართ, რაცა გვაქვს, მხოლოდ ჩვენს თავსავე უნდა დავაბრალოთ.

მეველე

ახალი ამბავი

*** გუშინ, 20 ივნისს გაემგზავრა ტფილისიდამ ამერიკაში ჩიკაგოს გამოფენის სანახავად ერთი ქართველი ნასწავლი ყმაწვილი კაცი, რომელიც დაგვპირდა იქაურ ამბების მოწერას. ჯერ მივა შავის ზღვით ოდესას, იქიდამ წავა ვენას, მერე—ბერლინსა და ჰამბურგს და იქიდგან გემით გაემგზავრება პირდაპირ ამერიკისაკენ.

*** კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის შუამდგომლობით, ბ-ნმა მთავარ-მართებელმა ინება დაენიშნოს კავკასიის სტიპენდია პეტროვსკის სამეურნეო აკადემიის მე-IV კურსის სტუდენტს ბენიამინე ავალიანს.

*** ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა მაზრის უფროსებს, ჯეროვანი ღონისძიება მიიღონ, რომ ეკკლესიების გაქურდვა ველარავინ გაბედოს, დაავალეთ სოფლის მოხელეებს, და თვალ-ყურიც ადევნეთ, რომ ეკკლესიებს ყოველთვის მცველი ჰყავდესო.

*** ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ტფილისის მაზრის უფროსს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განმგეს მოხსენებით, უმოწყალესად ნება დართო მიეცეს ხაშმის საზოგადოებას სახელმწიფო ტყიდგან 500 მუხის მარგილი და 2000 ეკლის კონა, რომელიც საჭიროა სოფლის საზოგადო ზვრის შემოსაღობად ს. ხაშმში.

*** კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის რჩევას დაუდგენია: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ გამოცემული წიგნი „კრილოვის არაკები“, თარგმნილი აკაკისა, მოწონებულ იქმნას საშუალო და დაბალ სასწავლებლების ბიბლიოთეკებში სახმარად და დამხმარებელ წიგნად ქართულ ენის შესწავლის დროს აღნიშნულ სასწავლებლებში. ეს დადგენილობა დამტკიცებულ იქმნა კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ 11 მაისს 1893 წელს.

*** ერთს ქართველს ყმაწვილს კაცს გადუთარგმნია ქართულად მდაბიო ხალხისათვის საკითხავად საინტერესო წიგნი, „Сократъ“ დაბეჭდილი ფირმის „Посредникъ“-ის მიერ. ქართული თარგმანი ამ წიგნისა უკვე მიულიათ სტამბაში ცალკე დასაბეჭდათ.

*** სომეხთა გამომცემელმა ამხანაგობამ დაბეჭდა ამ დღეებში ცალკე წიგნად „ელგუჯა“, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, გადათარგმნილი სომხურად ბ-ნ ფირუმიანცის მიერ. წიგნი ღირს 45 კაპ.

*** 19 და 20 ივნისს ყოფილა წინამძღვარიანთ კარში წარმომადგენელი ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექციისა, დასწრებია იქაურ სამეურნეო სკოლის ეგზამენებს და დაუთვალიერებია ფერმა. სწავლა-განათლების უწყების კაცს თავისი აზრიც გამოუთქვამს სკოლის შესახებ და ჩაუწერია დავთარში. ჩემის აზრითაო, უთქვამს იმას, ამ ბოლო დროს ცოდნა შეგირდებისა შესამჩნევად წარმატებულა. უფრო-კი იმ მხრით, რომ შეგირდები მეტის მოხერხებით გამოსთქვამენ თავიანთ აზრებს რუსულად. ფერმაშიაც ბევრი რამ შესამჩნევად განკარგებულა, მხოლოდ ფუტკარს, უამინდობის გამო, წარმატებით ვერ უყრია. საზოგადოდ შეგირდების წარმატება საკმაოდ წესიერი და რიგიანია. ჩემს ვალად ვრაცხ მხოლოდ მივაქციო ყურადღება ბ-ნთ მასწავლებელთა შეგირდების მიერ კარგსა და მკაფიო კითხვას. წერა კარგი იციან შეგირდებმა. უფრო კარგად ეცოდინებოდათ, რომ ხშირ-ხშირად აწერინებდნენ მასწავლებელნი. გულითა და სულით მონატრული ვარ სამერმისოდაც ამ სასარგებლო დაწესებულების კეთილად წარმატებისა და აღყვავებისაო.

*** წლევანდელმა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრებამ განსაკუთრებული სეკრეტარიატი დააარსა სამის კაცისაგან, რომლებსაც დაწვრილებით უნდა დაეწერათ ყოველივე, რაც-კი კრებაზედ ითქმოდა და გარდაწყდებოდა. ეხლა ბანკის მმართველობას და ზედამხედველ კომიტეტს გარდაუწყვეტია ზემო აღნიშნულ სამს კაცს ას-ასი მანათი მიეცესო ჯილდოდ.

*** ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბ-ნი ბოღუცკი აპირობს წასვლას სარეკიზიოდ ერევნის გუბერნიაში.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ სოფ. ცხინვალში მდებარე ვენახებს ფილოქსერა გასჩენიაით და, რათა ეს სენი ფილოქსერა არ მოედოს სხვა ვენახებსაც ცხინვალს გარეშე, საჭიროა მისვლა-მოსვლის დროს ის ღონისძიებანი იქმნას მიღებული, რომელნიც გამოცხადებულნი არიან სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ 1886 წ. (კრებული მთავრობის განკარგულებათა 1886 წ. 85, გვ. 816).

*** ტფილისში 8 ივნისიდამ 15-მდე ავად გამხდარა წითელათი 1, ყივანახველათი 1 და სახადით 1; გარდაცვლილა ყივანახველათი 1 და სახადითაც 1 კაცი.

ფელეტონი

წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლა.

მშვენიერი მაისის დილა იყო. ახლად ამოსული მზე ნაზად ანათებდა მდიდრად მოკაზმულ არე-მარეს. ნთა და ბარი, მინდორი და ველი, მწვანის ხავერდით შემოსილი, კაცს თვალს რალაც შვებას და კმაყოფილებას უხატავდნენ, გულს სიმყუდროეს და სიტკბოებას აწაფებდნენ. ოთხი ბედაური ცხენი ქარივით მიაქროლებდა ჩვენ ეკიპაჟს და თითქოს მოძრაობაში მოჰყავდა ეს უძრავი, მაგრამ სიცოცხლით სავსე ბუნება.

ჩემს კმაყოფილებას, რომ მშვენიერის ეკიპაჟით მივქროდი, მშვენიერებით მოცულ არე-მარეში, ისიც აორკეცებდა, რომ საგანი ჩემის მოგზაურობისა იყო ის სკოლა, რომელმაც მრავალი ქება-დიდება გამოიწვია იმის დამაარსებლისადმი, ის სკოლა, რომელმაც მრავალი ლაპარაკი ასტეხა და ცნობის მოყვარეობა გააღვიძა ყველა ქართველში.

ათი საათი იყო, როდესაც ჩვენი ეკიპაჟი წინამძღვრიანთ-კარის სკოლის კარებთან გაჩერდა. სუფთად ჩაცმული ყმაწვილები, ის იყო, ეკკლესიიდგან გამოსულიყვნენ და საკვირაო მოსვენებას ეძლეოდნენ: აქა-იქ ჩრდილებ ქვეშ ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ, ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ, ღიღინობდნენ, ზლაპრობდნენ და არაკობდნენ.

ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა, სკოლის ხელ-მძღვანელების თანადასწრებით შემოგვატარა მთელი სკოლის საკუთრება, იმის შენობანი, გვიჩვენა მოწაფეთა ნამუშავარი და გვიამბო სკოლის აწმყოც და მომავალი იმედებიც იმის გაუმჯობესობისა, აღზრდისა და ამაღლებისა.

ყოველი სამოსწავლო ნივთი, ყოველი ვაზის ძირი, ყოველი რიგიანად ნამყნევი ხეხილი ბ-ნ წინამძღვრიშვილის სიყვარულით და გულ-მხურვალებით არის მოცული, ყოველ ნაბიჯს სკოლის წარჩინებისას ნამდვილი მშობლიური აღტაცება მიუძღვის წინამძღვრიშვილისა ბ ყოველს ნაკლს სკოლისას უსაზღვრო სინანული, რომ ეს ისე არ არის მოწყობილი, როგორც იმის გულსა და სურვილს ენატრება და ეხატება. ვის არ მოეხსენება, რომ მამის გული აუვსებელი ნატვრის ორმოა, როდესაც ის ნატვრა იმის პირმშოს შეეხება და განა „წინამძღვრიანთ კარის სკოლა“ ნამდვილი პირმშო არ არის ილია წინამძღვრიშვილისა?

ერთის სიტყვით, მე ვნახე წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლა და გული იმედებით ამევსო იმის დანახვაზედ. წარმოვიდგინე მთელი ჩემი ქვეყანა აჭრელებული და გამდიდრებული ათასის ამ გვარის სკოლით, წარმოვიდგინე ყოველი კუნჭული, ყოველი ხეობა ჩემის სამშობლო ქვეყნისა ამ გვარის სკოლებით დამშვენებული და სკოლის მეოხებით მთელი ქვეყანა ერთად გამშვენიერებული, შემუშავებული და აყვავებული.

წარმოვიდგინე ათასობით ქართველნი, ილია წინამძღვრიშვილივით გამსჭვალულნი იმ დედა-აზრით, რომ საქართველოს მომავალი, საქართველოს ბედნიერება საქართველოსავე შემუშავებასა, გამოკვლევასა ბ შესწავლაშია, და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ ეს ქართველნი თვისი აზრი საქმედ აქციონ, საქართველოს მერმისისა და მომავა-

*** ფრეილინის ქუჩაზედ, იმ სახლში, სადაც სახელმწიფო ბანკის გაგზავნილება არის, 16 ივნისს გარდაცვლილა ხუნაგით ბ-ნ კერმანის ბავშვი თამარ, 4 წლისა.

*** ქალაქ რიგას ახლო, აგარაკ მაორენგოფში 13 ივნისს გარდაიცვალა წევრი კავკასიის მთავარ-მართებლის რჩევისა მიხეილ ნიკოლოზის ძე კუჩაევი, რომელმაც დიდი შრომა მიიღო ბატონ-ყმობის გადავარდნის საქმეში. განსვენებული კუჩაევი დიდ ხანსა მსახურებდა კავკასიაში და კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის თავმჯდომარედაც იყო.

*** რამდენსამე ებრაელ მეცნიერს განუზრახავს დაწერა ვრცლად ებრაელთა ისტორიისა და თავ-გადასავალისა. ამ მეცნიერთ ტფილისის ებრაელთათვის მოუმართავთ თხოვნით, თუ წყარო რამ გაქვთ, ან იცით რამე ქართველ ებრაელთა შესახებ, გვაუწყეთო.

*** 21 ივნისს 1893 წ. დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობით გასაყიდად ათი ქალაქის მამული, ამათში რვა მამული გაიყიდა, დარჩა ორი მამული 7 ივლისისათვის ხელმეორედ გასასყიდად.

*** ხილისა და კიტრის ყიდვა ამ ამად ტფილისის ბაზრებში გაჩაღებულია. ხშირად იყიდება, ჩვეულებისამებრ, ძალიან საეჭვო ღორსების ბალი, ალუჩა, კიტრი და სხვ. რაკი დაცხა, რასაკვირველია უფრო საშიშია ალუჩისა და უვარგისის ხილის ჭამა, ამიტომ სასურველია ფიცხელი ყურადღება მიექცეს ხილისა და კიტრის გამყიდველთ.

*** სამხრეთ საქართველოში ხშირია სოფლები, საცა სომხები და ქართველები ერთად სცხოვრობენ; ხოლო, რადგან ქართველნი ცოტანი არიან, ამიტომ ხშირად არც ეკკლესია, არც სკოლა მათთვის არ არსებობს. რაკი საკუთარი ეკკლესია არა აქვთ და მღვდელი არა ჰყავთ, ამიტომ იძულებულნი არიან სომეხთ ეკკლესიაში იაროონ და მღვდელ-მოქმედების აღსრულებაც სომხის მღვდლებს სთხოვონ ხოლმე. ვგონებთ, არ უნდა იყოს შეუძლებელი, რომ რამდენსამე ამისთანა სოფელს ერთი ქართველი მღვდელი მაინც გაუმწესდეს ხოლმე.

*** გაზ. Казказъ-ში დაბეჭდილია წერილი საეპარქიო წმინდა სანოლის ქარხნის კომიტეტის თავმჯდომარისა, ბლაღოჩინის ს. შოშიაშვილისა, რომლითაც მტყუნდება ის ამბავი, ტფილისის გაზეთებში დაბეჭდილი, ვითომც ქალაქიდგან მოსკოვს დიდძალი კოშტი სანთელი გაეგზავნოთ და ვითომც ამის გამო წმინდა სანთელს ფასი უნდა მოუმატონო.

ეს ტყუილი ამბავი, სწერს მამა ბლაღოჩინი, ვაჭრების მოგონილი უნდა იყოს იმის გამო, რომ სანთლის ქარხანამ 20 ივლისისათვის საჯარო ვაჭრობა დანიშნა კოშტის სანთლის სასყიდლადაო.

✓*** ოზურგეთი: ქ-ნმა მ. ძნელაძისამ და ბ-ნმა ბალანჩივაძემ, 17 ივნისს, აქაურ დედათა სკოლასთან დაარსებულ სცენაზე გაჰმართეს კონცერტი. თუმცა ძლიერ ცუდი ტაროსი იყო და კოკისპირულად სწვიმდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. კონცერტმა ერთობ სასიამოვნოდ ჩაიარა. მართალია, ქ-ნ ძნელაძისას ის ძლიერი ხმა აღარა აქვს, რომელიც გვსმენია მისგან, მაგრამ სამაგიეროდ სიმღერისთვის უფრო შეუმუშავებია და გაუუმჯობესებია. რაც შეეხება ბ-ნ ბალანჩივაძეს, მის მიერ ნოტებზე გადაღებულმა ქართულმა რომანსებმა: „ნუ შემიბრალებ“ და „შენ გეტრფი მარად“, რომელიც ორ-ორჯერ გაამეორებინეს, დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება.

ბ-ნ ბალანჩივაძეს განზრახვა აქვს რამდენიმე გურული სიმღერა ნოტებზე გადაიღოს და ამისთვის მიჰმართა პირველ მცოდნეს გურულის სიმღერებისას, თ. ს. დ. გუგუნავას, რომელმაც მისი თხოვნა დიდის სიამოვნებით მიიღო და აღუთქვა ყოველივე დახმარება.

*** ოქიდამვე: ერთი სასიამოვნო ამბავიც: 17 ივნისს ჩამოვიდა აქ ბ-ნი ფ. ქორიძე და უნდა, ბ-ნ ანტონ დუმბაძის დახმარებით, ამ კვირაშივე შეუდგეს გურულ საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

*** როგორც მკითხველებმა იციან, ამიერ-კავკასიაში მცხოვრებნი ებრაელნი, რუსეთიდგან გადმოსულანი, უნდა უკანვე გაეგზავნათ დასამკვიდრებლად იმ ადგილებში, რომელიც მათ საცხოვრებლად არის დანიშნული.

ებრაელებს დეპუტაცია გაუგზავნიათ პეტერბურგს დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან და უთხოვნიათ, გვიშუამდგომლე, რომ მთავრობამ ცოტას ხანს კიდევ გვამყოფოს ამიერ კავკასიაშიო. ეს თხოვნა მთავრობას შეუწყნარებია და ებრაელთა გაგზავნა გადადებულია შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებამდე. ამ ამბით გახარებულ ებრაელებს პარაკლისი გადაუხდიათ მათ უდიდებულესობათა, მემკვიდრე ცესარევიჩისა, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის და სრულიად სამეფო სახლის სადღეგრძელოდ (Кавказъ).

*** ამას წინად ცხრა გლეხს, ს. თიანეთის მცოვრებს, ჩამოუტანია ტფილისს კარაქი, რომელიც მალე გაუყიდნიათ. ამ გლეხებს ვიღაც ქალაქელები ასდევნებიან და მიუპატიჟნიათ ოქოევის დუქანში. ჯერ აქ უსვამთ და მერმე სხვა დუქანში წასულან ხოჯივანქის სასაფლაოს ახლო. აქაც უსვამთ და დასძინებიათ. მეორე დღეს, ნაბახურევი რომ წამოდგარან, გლეხებს ფული ველარ უპოვნიათ. ქურდებს ისე ამოუწმენდიათ მათი ჯიბეები, რომ პურის ფულიც-კი არ დაუტოვებიათ. გამოუცხადეს პოლიციას, რომელმაც მედუქნეს ოქოევის მოჯამაგირე დააპატიმრა. გლეხები ამბობენ, თვითონ დუქნის პატრონიც ჩვენთან ქეიფობდაო. გლეხებს იმედი აქვთ, ფულს ვიპოვითო, შინ არ მიდიან, ღამე, საცა მოხვდებათ, იქ იძინებენ და დღისით მათხოვრობით იკვებებიან. ცხენების გამოკვება-კი „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ წევრს ბ-ნ რევაზოვს უკისრნია (Тиф. Лист.)

*** ფოთი: 19 ივნისს 65 კერსზე მუშაობის დროს, ჩიღინგდარს მათე ვაშაკიძეს რკინა დაეცა მარჯვენა ფეხზედ და მარჯვენა მუხლი გადუტეხა; ვაშაკიძე მაშინვე რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს ტფილისს.

*** რიონის სადგურიდამ 19 ივნისს, როცა ტუსაღები ერთის მატარებლიდგან მეორეში უნდა გადასულიყვნ, გაქცეულა ერთი პატიმარი, სიკო ჯობრელიძე, 26 წლისა. მდევარი მაღე დასწვეია ტუალეტში და თოფით მოუკლავს.

სასულიერო მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესის ბრძანებით, რუსეთის საიმპერატორო და სამეფო ორდენების კავალერ-ჯვრის სასულიერო სასულიერო ბრძანებულებით, ამა მაისის 15 სა რაცხვსა, წმ. ანნა პირველ ხარისხის ორდენიანთა შორის ეოველად უმაღლესად ჩაირიცხსენ: მისი მაღალ ეოველად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი, ქართლისა და კასეთის მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირი და მისი ეოველად უსამღვდელოესობა, სუხუმის ეპისკოპოსი აგათოდორე.

ხელმწიფე იმპერატორმა ეოველად უმოწყალესად კეთილ. ინება და ამა 15 ს მაისს გორისს ეპისკოპოსს ალექსანდრეს უწყალობა ძვირფასი თვალ მაგალითშემკული ბასაგა—სამღვდელ-მთავრო გულ-საგიდი ხატი.

ხელმწიფე იმპერატორმა 15-სა ამა მაისს ეოველად უმოწყალესად კეთილ ინება და უბოძა კავალერობა ორდენებისა: წმ. სტანისლავისა მეორე ხარისხისა სტატსკი სოვეტნიკებს: ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ნიკოლოზ ტატიშვილს და ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ივანე გარტინსკის; წმ. სტანისლავის მესამე ხარისხისა ნადვორნი სოვეტნიკებს: ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს ივანე რუმიანცევსა და ვასილ სოკოლოვს, და უწმიდესის უმართებულესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის სტოლის უფროსს, კოლეგსკი ასესორს აარონ იანქოშვილს.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის უმეცარდმიღესის მოსსენებისამებრ, უწმიდესის სინოდის დადგენილების თანახმად; ამა მაისის 15-სა დღესა, ეოველად უმოწყალესად კეთილ-ინება და წარჩინების ნიშნებით დაჯილდოვა საქართველოს საეკკლესიო საბჭოს სასულიერო პირნი: ა) წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით—სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის წევრი, არხიმანდრიტი კესარიოსსი; ბ) წმ.. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით—სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის წევრი, არხიმადრიტი ნიკოლოზი; გ) წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენით—შემოქმედის მაცხოვრის ფერის-ცვლების მონასტრის წინამძღვარი, არხიმანდრიტი ამბროსი, გურია-სამეგრელოს ეპარქიის, სუჯუნის წმ. გიორგის ეკკლესიის დეკანოზი სიმონ ელიავა; იმერეთის ეპარქიის, ქ. ქუთაისის ალექსანდრე ნეკელის საკათედრო ტაძრის დეკანოზი იოსებ კიკაჩეიშვილი; დ) წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენით—ქართლ-კახეთის ეპარქიის, ქ. ტფილისის სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გრიგოლ პეტრიაშვილი; იმერეთის, ეპარქიის, ქ. ქუთაისის მაზრის სოფ. წყალტუბოს წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი სფირიდონ ფანცხავა; იმავე ეპარქიის, ქუთაისის მაზრ. სოფ. საწულეკიძეოს ეკკლესიის მღვდელი პავლე გოგოლაშვილი.

ლის შემზადებას მალე მიეშველნენ, ხელი შეუწყონ, სიყვარულით სავსე გული გადუხსნან და ყველამ ცალკე და ერთად საერთო საქმეს გზა მისცენ, მკვიდრი საძირკველი დაუდგან და ნაყოფიერი თესლი დაუთესონ.

აქამდინ მხოლოდ სიტყვით ალვიძებდა წინამორბედი ქართველი თაობის მოძმეს; „მამულო, საყვარელო შენ როსღა აჰყვავდებიო?“ და ეხლა-კი დრო დადგა საქმით, ქველობით შევუდგეთ მის აყვავებას, განოყიერებას.

წინამძღვარიანთებური სკოლები საუკეთესო სამზადისია მომავლისთვის, წინამძღვრიშვილივით სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულნი შვილნი საუკეთესო იმედია ქვეყნის წარჩინებისათვის.

წინამძღვრიშვილის პირველმა ნაბიჯმა ბევრში გაალვიძა სურვილი მიბაძვისა, ბევრში გამოიწვია ფიქრი, ზრუნვა იმაზედ, რომ უფრო საუკეთესოდ, უფრო უნაკლულოდ, უფრო დიდის შრომითა და უფრო დიდის სიმდიდრით დამყარდეს ეს საქმე ჩვენში. ბევრის ქართვლის გულში ნათლად ჩადგა ის შუქი, რომ საუკეთესო და სასახელო სამსახური კაცისა, მხოლოდ თავისის სამშობლოს მომავალში და დიდებაშია და, თუ ბევრს არა, თითო-ოროლა მაგალითს მაინც ვხედავთ ამ აზრის განსახორციელებლად.

მე არ შევეხები წინამძღვრიანთ კარის სკოლის პედაგოგიურ და სპელიალურ მდგომარეობას, ეს არც ჩემი საქმეა და არც ამ მხრივ ვზომავ მე ზემოხსენებულ სკოლს,—ყველა ეს თითონ მოვა, გაუმჯობესდება, განკარგდება! „თაფლი იყვეს, თორემ ბუზი ბაღდადიდამ მოვაო“. სურვილი, მკვიდრი, შეურყეველი სურვილი იყოს და ყველაფერი მოეწყობა. „ჩემ ნუგეშად ისიც კმარაო, მითხრა წინამძღვრიშვილმა, რომ მე პირველმა შევაგნებინე ქართველებს სიტყვა მეურნეობა და სამეურნე სკოლის დანიშნულობაო; მე ჩემს შრომას არ დავზოგავ და, იმედი მაქვს, გზა, ჩემგან თელილი, უვალი არ დარჩებაო.“

ორიოდე სიტყვას ვიტყვი მხოლოდ სკოლის მასწავლებლებზედ. სკოლის კარგი მასწავლებელი, საზოგადოდ ყველგან, დიდი საფუძველია ხალხის ბედნიერებისა და ჩვენში ხომ, კერძოდ, ერთად ერთი საღსარია მომავლის შემზადებისათვის. სკოლის მასწავლებელზედ არის დამყარებული ჩვენი იმედი, ჩვენი ნდობა, ჩვენი სარწმუნოება, სკოლის მასწავლებელმა უნდა შვას, ჩვენი მყობადი, სკოლის მასწავლებელი უნდა შეეგვას პირველი იმ მძიმე უღელში, რომელსაც თავის ქვეყნის წინ წაწევას უწოდებენ; ამისათვის ის ყმაწვილები, რომელნიც წინამძღვრიანთ კარის სკოლას ემსახურებიან, სრულის თავისის არსებით, სრულის თავისის ძალ-ღონით და ზნეობის სიმაღლით, უნდა ჰპატრონობდნენ ამ სკოლას და თავის სისხლ-ხორცად უნდა მიაჩნდეთ. ამ სკოლას უნდა შესწირონ თავიანთი ყოველ გვარი ყმაწვილური მისწრაფებანი და ამ აზრით უნდა კმაყოფილდებოდნენ, რომ პირველ მოფრენილ ფრინველთ ბევრჯელ გაზაფხული სუსხს მოუჭერს ხოლმე, მაგრამ გაზაფხული ისეთი სასურველი და სანატრელია, რომ სუსხს არ უნდა შეუშინდნენ, არ უნდა მოიბუზნენ, არამედ თავაღებულნი ამაყად წავიდნენ წინ და უღლის სისწორე არ გააბრუდონ.

ეკ. გაბაშვილი

პატარა ფელეტონი

(ს. ხუსტაფოვი)

„ეს სიტყვა—სწორედ ოქროა“.

აკაკი

ვაი ამ დღის მომსწრეს! ჯერ კალამი არ ამეღო, რომ „შავი ფიქრები“ ყორნებივით თავს დამესხნენ: „ბუს კაც“! ენა მუცელში ჩაიგდე! ხო იცი, ავს იტყვი თუ კარგს, მაინც ტყავი გძვრება!

ოღონდაც, ოდეს რამდენიმე ჩვენდამი გაჭირვების ტალ-კვეესად მოვლენილნი, კეთილ-მოღვაწედ დავასახელე—მეგონა კიდეც, „ალერსთა ბადეში“ გავებმებოდი, თვით „მათ დღეთაშინა“-მეთქი—ამათაც-კი მოიმნიჭებელთა ცხოვრებისათა — ჯერ პატარა „კომფუზიტი“ მოსვლიათ და მერე დიდს „ობიჟაიტსაც“ ხელი დაურევია! „აპა“!

რა ქნას კაცმა, როგორღა რამე სთქვას? „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცნო, არ მობრუნდესო“. ტყუილად მეგონა აქამდისინ, რომ თუ ავის გამომჟღავნებელს „მოავე“ ყვრიმალში მითაქებდა, კაი სიტყვისათვის, კაი საქმის მომქმედათ „დახატული“ მაინც არას ერჩოდა და პირიქით აპრეს, აპრეს-ით შემამკობდა... თურმე „სელავნო“ ყოფილა!

ეჰ, მახლას!

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“! მაინც ვიტყვი... თუმცა, რასაკვირველია, ვეცდები, მხარი ავუქციო... ვიტყვი, რადგან

„დიდი ლხინია ჭირთა თქმა,
თუ კაცსა მოუხდებოდეს“.

**

მოდი და ნუ შეჰბღავლებ: ქრისტიანებო! გლესა—ლესა უკადრისი საქმეაო. ჯერ „პუდრი-მუდრისა და „დევიჩი მალაკოსაც“-კი—მოუხდება, „თვარა“ უმარილი და პირის ჩირქი „რავა“ გეკადრებათ—მეტად ამახინჯებენ პირსაც, რომელსაც ჰგლესთ და... ადამიანსაც, ვინც იგლესს!..

დასაბამი ამ „მხატრობისა» არს შრომა „უქმ-მაშვრალთა“. „უქმთ“ თავში ქვამც უხლიათ, „მაშვრალთაც“ „მეც ნახირ-ნახირობას“ მიჰყვეს ხელი—„წამწყმინდა წახედულობამაო“. ჩვენში „მხატრობითს“ არსებათ ფეხს ვერ აუქცევთ. „აქანას მოწიკულთ“ განათლებულთ — ვინ რას ეტყვის,—სოფელი წაირყვნა. აგერ მობრძანდება ვინმე დარბაისელი მანდილოსანი, თან ახლავს 16—17 წლის «თურაშაულივით» მოლაჟღაჟე ქალი. შეჰხედავ პირველს—ფრუტუნი წაგსკდება, შეჰხედავ მეორეს—სინანულის ბადეში ებმი: ორთავ უხვად სცხიათ.

შე უკეთურო, ვინც აქ არა ხარ და არ გეყურება, შენს „კვირაძლის

ეშმაკობას“ ვინ არის მადლიერი, ორ თვით იმასაც-კი ამახინჯებ, ვინც თუ არ „არა წმინდა საცხები“—ანგელოზს უნდა ჰგავდეს? ამაზე მიპასუხეს: „კაცმა თავის ლაზათი (?!) არ უნდა დაკარგოსო“. აფერუმ! ლაზათია მარა ჯანაბაა! მოდი და ნუ იმღერ:

განათლება მოსულა,

მეტი ცეცხლი-ღა გაგონილა, რომ ადამიანს ულაზათობა, მახინჯობა ლაზათად და სილამაზედ მიაჩნდეს... ეს სენი სათაყვანოდ კულტად გარდაექციოს და ვერაფრით აჯერებდე, მახინჯობაოო... მოდი და გასძელ, გულო, ნუ გაიმეორებ ჩვენის ცხონებულის ბოკლის ნათქვამს: невѣжды чѣмъ искреннѣе, тѣмъ вреднѣе“-ო.

**

თუმცა

ულმობელმა ბედის ჩარხის ტრიალმა
ხოლერისა პრანჭვა, გრეხა, გრიალმა,
დიდებულთა საიქიოს სრიალმა,
დაობლებულთ გლოვა მოთქმა-ზრიალმა.

თან მოიყოლა—ვაი შენს დამკარგავს!—ჩვენი ერთად-ერთი სათაყვანო დაწესებულების, ჩვენის შეუდარებელის „ვინტის“ ბუდის გაუქმება, მაგრამ ჩვენ მაინც გულს არ ვიტეხთ, დანაკლისს არათ ვიმჩნევთ... განა ღვთის მმოსავისათვის ყოველი კუთხე ეკლესია არ არის? განა ყველა ჩვენი სახლი იგივ „ვინტის“ ბუდე... აფუ! იგივ კლუბი არ არის? თქვენ სურვილი ბრძანეთ... სურვილი, ღვთის წინაშე, დიდი გვაქვს... „კარტის მრწამსმა“ კუჭის „მრწამსს“ ბევრით გადააჭარბა... ზომიერებაზე აბა რა მეთქმის: ხილად „ყველა მწარე, ყველა შხამი მაინც ტკბილად გვეგემების“... მაგრამ, როცა ადამიანი „ყოლიფრით“ გამოწყდება, ჩრდილის არშიყათ გარდაიქცევა, ნაცნობი მისი მხოლოდ „პარტნიორია“, საკითხავი—„руководство къ изученію винта“, სათაყვანო—„შლემენციაშელმენცია“ და „игра дома“, ცხოვრების იდეალი—„დღეს ვის ვეწვევნეთ“, ამის მაცქერალს ნატვრის თვალი აღარ დასჭირდება...

მაგალითს მიბაძვისას ყველგან და ყოველთვის, როგორც აქაც, დიდი გავლენა აქვს ადამიანზე, წარმოიდგინეთ. თვით ისინიც-კი რომელთაც, ვიდრე აქ დამყარდებოდნენ, გარდა „დურაკობისა“ სხვა არა სცოდნიათრა. მჯერა, ვერაფრად გამოსაყენებელია ანდაზა: „საცა წახვიდე, ქუდი იქაურად დაიხურეო“... მაგრამ, რო კარგად ჩაუკვირდეთ საქმეს, „სლუჩიც“ სწორედ ამას ამბობს... დიდი ხასიათის სიმტკიცე სჭირია კაცს, რომ წინააღუდგეს მთელს საზოგადოებას დედიან ბუდიანათ, მის სათაყვანო სურვილს, როდესაც ამ საზოგადოების ძარღვი მხოლოდ ვინტით სცემს და—ვაი იმ დროს—უვინტოდ ჩერდება. ეს სენი... უკაცრაოდ—ნეტარების ნეკტარი ისე გვაქვს გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ სხვა არავინ გვეპიტნავება, თუ არ „მცოდნე“ კაცი, რაც უნდა დიდი სიკეთე გჭირდეთ, თვით ციდამ ვარსკვლავებსაც რო იტაცებდეთ და პატიოსნების ჭკუის სალარად ითვლებოდეთ, თუ—ვაი თქვენს ტყავს—ვინტი არ იცით, ახლოს არვინ მოგეკარებათ. ოჰ, ღმერთო! განა წარმოსადგენია უვინტოდ თვით დღეც, არამც თუ ღამე.

უბედურებას პაწია ფრთას მაინც შეაკვეცდა „არა მოვინტავე“, რომ, თუ მისას არ მივიდოდნენ, თითონ მაინც შესძლებოდა სხვასთან სტუმრობა, მაგრამ «ტანტაროზი» აქაც გზას უცარავს: უწინდებური ნაქები დევიზი—„სტუმარი ღვთისაოო“, ჩვენებურად შევცვალეთ: „სტუმარი ვინტისაა“.

—აბა, ყმაწვილო, მობრძანდით სტოლთან. არა სთამაშობთ?!. მეწყინა-ა... და რამდენსამე წამს შემდეგ თქვენი მასპინძელი, ან მეტი! მეტად აღტაცებული ქალალდის მოსვლით, ან უზომოდ ჩიჩვირ-ჩამოშვებული „მოუსვლელობით“, შესჩივის თავის „პარტნიორს“: სად დარჩენილა ასე უბედურად ეს ყმაწვილი? ეხლანდელს დროში და ვინტის უვიცობა, ქალალდზედ გულის აყრა!!. თქვენმა მზემ „ჩვენს“—იგულისხმე მოწინავე საზოგადოებას—არ უნდა ეკუთვნოდეს! სწორე მოგახსენოთ, მასპინძელს მეტად აწუხებს მაგ გვარი სტუმარი—არ იცი, რით გაართო.

მოდი და მეორედ კიდევ ეწვიე .. თუ ბიჭი ხარ და ვინტს არ ისწავლი!...

როგორ? საუბარით, კითხვით და რალაც „პრატივნი“ საქმეებით შევიქციოთ თავი ღამ-ღამე—ნურც მოსწრებიხართ ამ დღეს! არა, ნათქვამია: მიეცით კეისარს კეისრისაო,—ვინ გაბედავს ჩვენ „ჩვენი“ არ დაგვითმოს!?.

ასე და ამ გვარად დილიდამვე მეწყერსაც წაღლია ყოველივე საქმე, შინაურიც და გარეულიც, კერძოც და საზოგადოც—კარგი მეძებრებივით ათ სგან ვაფრენთ ბიჭს ბარათებით და, თუ გაჭირდა, სხვა უფრო ბედნიერთან მიმავალს გზაში გადაველობებით და გვაქვს ერთი ცილობა... იქნება სთქვათ შეგეწიოთ: ყოველთვის მოცლილია და მზად, დაახრანტალებ თუ არა—станетъ предъ тобою, какъ листъ предъ травою. ვძლიეთ გაჭირვებას—იხარე ჭერო, მოკვდი მტერო და დადუმდი ენავ მტრისაო—სალხინო ზრიამულს არა აქვს დასასრული! თითქმის დილიდამ მეორე დილამდე, ე. ი. ვიდრე ძალიან არ მოვუძლურდებით—ოჰ, ნეტარებავ—ქორივით გავკივით: безъ козирей! ოთხი ჩერვი... ხუთი ბუბნი! შლემი!.. ოჰ, ღმერთო დიდებულო—დი—დი შლემი, დიდი.

ღვთის წინაშე, კარგი რამ არის ვინტი: მის მეოხებით, საცა კომლი მაღალია, შენ იმისი მაყარი ხარ, ყოველ ღამ მუქთადა ჰქეიფობ, გარდა ამისა სიბრძნესაცა გძენს... ჭკუისა არ გეგონოთ, ან რა საჭიროა ჭკვა, თუ კარგად არ იცი, რა დროს რას გამოხვიდე... თვით სრულიად უმეცარნი, რომელნიც, ხალხის თქმისა არ იყოს, „ზევითა სართულს აქირავებენ“, ისინიც-კი ავტორიტეტობენ აქა... და, რა თქმა უნდა, შესაფერადაც ექცევიან საბრალო „არა ავტორიტეტს“, თუნდაც რო ეს უკანასკნელი ათი ათასჯერ მეტის ნამდვილის ცოდნით იყოს აღჭურვილი...

—სწორედ ბრიყვი გამოვიდოდა პიკს, როდესაც პიკი ამათი „მასტია“!

—ჭკვიანი მეგონე, შენ-კი სულელსაც გადააჭარბე: რა ჭკვაში მოგვიდა ბუბნის დაძვრა?! გამოტვინებული.. უოთხოდ იყვნენ, ეხლა კი უერთოდ არიან. ია—დალანდალავ!

თუ ვინმე შებედა და მოწიწებითა ჰკადრა: თამაშობა—თამაშობათ, წყენას და შეურაცხყოფას ნუ ჰკადრულობთო, ვაი იმის დღეს!.

—Скажите, какая цаца! შენ უნდა ბედნიერებათ სთვლიდე, რომ მე ვიკადრე შენთან თამაშობა!

ვისაც ვარდი სურს, ეკალსაც უნდა შეურიგდეს... მაინც, აბა როგორ გამოვთქვა ის აღტაცება, რომელსაც ჩვენ ვეძლევით ხოლმე... სწორედ, თვით შოთა რუსთაველის მადლიან კალამსაც კი გაუჭირდებოდა მსგავსი გრძნობის გამოხატვა...

რაც ვსთქი, ეს კმარა.

სიტყვის სიმრავლე სასმენელს
ავნებს და ვერ აამებსა;
მეტი საზრდელი სულს და ხორცს
არც ერთს არ დაამებსა.“

„კუნეუტ-ბ ეგ.“

შესახებ ბ. ნ. ბარათაშვილის ძეგლის დადგმისა

მამა ჩემის იაკინთე დიმიტრის ძე ალექსიევ-მესხიევის ქალალდებში ეს ვპოვე:

„1847 წელსა ოკტომბრის 23 დღესა. მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერმან, მივიღე იაკინთე დიმიტრის ძის ალექსეი-მესხიევისაგან ოცდა ათი თუმანი თეთრი ფული შეწევნილი სხვა-და-სხვა გვამთაგან გარდაცვალებულის ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის პამიატნიკის აღსაშენებლათ პოდპოლკოვნიკი მაკარი ჯამბაკურიან-ორბელიანი“.

„Сегодня я долженъ отдать Іакинфу 460 р. серебромъ; у меня хоть есть деньги, но ты самъ знаешь, какъ онѣ необходимы въ дорогѣ и потому прошу тебя, любезнѣйшій Александръ, 190 р. твоихъ и 20 моменьки, всего 210 р. принять на себя и остальные 250 р., посылаемые присемъ, передать ему. Зайди самъ къ нему въ палату или попроси его къ себѣ. Эти деньги собраны для напечатанія стиховъ покойнаго Тато Баратова и должны храниться у него. Знаю, что въ настоящее время ты банкрутъ, но время терпитъ и можешь оставить за собою до улучшенія твоихъ финансовъ, потому болше, что половина, даже и больше, еще не собрана, и, надо пологать, до полнаго сбора можетъ быть пройдетъ годъ.

შენი ალექსანდრე,
(ალექსანდრე ონიკოვი).

P. S. Будъ увѣренъ, Александръ, что, еслибы не отъѣздъ мой, я ни въ какомъ случаѣ не напомнилъ бы об этомъ, и потому прошу тебя извинить меня. ძმანი ჰირსა შინა სახმარელნი. შენ გეთაყვანე, არ გეწყინოს. პასუხიც მომწერე.

შენი ალექსანდრე.

მეორე მხარეს ეს სწერია თ. ალექსანდრე თუმანიშვილის ხელით:

იაკინთე, ალექსანდრე ონიკოვისა მმართებს მე ოცდა ერთი თუმანი და იმას მოუწერია ჩემთან ეს წიგნი და გამოუგზავნია ოცდა ხუთი თუმანი, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. დანარჩენს ფულს მოგართმევ 1 სეკტემბერს, такъ какъ время терпитъ ამ წიგნის ძალით.

...(ვერ გავარჩივე) მომწერე.

შენი ალექსანდრე თუმანოვი.

ეხლა საშინელი კუტრობა არის.

6 აპრილს 84 წ., მახსოვს, მამუკას ბარათის პირი გავუგზავნე „დროების“ რედაქტორს ი. გ. მაჩაბელს. ვგონებ, მაშინ დაიბეჭდა. მაინც და მაინც დაბეჭდილიც რომ ყოფილიყოს, არ იქნება ურიგო ხელახლად დაიბეჭდოს, როგორც არის ხელწერილი მამუკა ორბელიანისა, ეგრედვე ონიკოვის და თუმანიშვილის წერილებიც, მათი მართლ-მწერლობა არ შემიცვლია.

ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსიევ-მესხიევი.
18 თიბათვეს 93 წ.
დ. ოჩემჩირი (სუხუმის ოლქი)

დავით გარესჯის უდაბნოს გუჯრები

№ 21. „ქრისტე აღდგა! *) ქ. წმინდის დავით გარესჯის მონასტრის არქიმანდრიტს გერმანეს და სულ ერთობით კრებულთა ბატონისშვილი გიორგი წმინდას მარჯვენეს ხელოკცნას მოვახსენებთ. მერე თქვენც მოგეხსენებათ, ღვთის შეწევნითა, მაგ ეკკლესიის გაკეთება გვინდოდა **) ჩვენ ასე ვამბობდით, რომ შიგნიდამ თალი შეგვეკრა აგურითა და კირითა, მაგრამ, ვეჭობ, თქვენც ასე გერჩივათ და გეთქოთ და ჩვენ-კი არა გვითხარით-რა. ჩვენ ასე შევიტყვეთ—მარნის ბანისაცა, საყდრის ბანისაცა და პალატის ბანისაცა, რომ ზევიდამა სჯობიაო აგურითა და კირით გადალესვაო, რადგან თქვენ ასე გიმჯობინებიათ გაკეთება, ჩვენც აგრე ვამჯობინეთ მაგ ეკკლესიის გაკეთება. კირიც ნასყიდი გვაქვს და ხელის მიყოფაც გვინდა, ღვთის მადლით, კეთებისა. ახლა ეს კალატოზები გამოგვიგზავნია, ამ კალატოზებს კარგად გააშინჯეთ შიგნიდამაცა; საიდამაც ის წყალი ჟონავს და ჩამოდის, ისიც უჩვენეთ და ზევიდამაც კარგად უნდა გაშინჯოთ, რომ ისე კარგათ შეიტყონ, წყალი საიდამ ჩამოდის და საიდამა ჟონავს; კარგათ უნდა გააშინჯოთ და გააზომინოთ ზევიდამ მარნის ბანიცა და საყდრისაც და პალატისაცა, რომ, ან რა ერთი კირი მოუნდება, და ან რა ერთი აგური მოუნდება მაგათ გადალესვასა და გაკეთებასა. ასე რიგათ უნდა გაკეთდეს, ღვთის მადლითა, ზევიდამ ეგ ეკკლესია, პალატი და მარანი, რომ წყლის ჩამოსვლისა და ჩამოჟონის ფიქრი აღარ უნდა ქონდეს. კარგად გაშინჯეთ და ამ კალატოზებსაც გააშინჯეთ ტ წვრილად კარგათ მოგვწერეთ, რომ მაგისი ვარაუდი დავიჭიროთ—ან რა ერთი კირი მოუნდება, და ან რა ერთი აგური. თუ წინამძღვარი მანდ ბრძანდებოდეს, იმასაც ასე მოვახსენებთ; და თუ წინამძღვარი არ იყოს, თქვენ კრებულთ მოგახსენებთ, რომ ეს ასე უნდა გაარიგოთ და ამ კალატოზებს უჩვენ ით, გააშინჯოთ და გააზომინოთ და მაგისი კირისა და აგურის ვარაუდი ისე დავიჭიროთ.

*) 1779 წ. აღდგომა იყო 31 მარტს; მაშასადამე ეს გრამოტა დაწერილია ბრწყინვალე კვირიაკის პარასკევს, 5 აპრილს.

**) აქ ლაპარაკია დავით გარესჯის უდაბნოს იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესიაზედ, რომელიც მთლად კლდეშია გამოკვეთილი; სივრცით ტფილისის ანჩის ხატის ტაძრის ოდენაა. მისი კლდისაგან ნაქანდაკები კანკელი ყოველ მნახველს ანცვიფრებს დღესაც: ტფილისის სიონის ტაძრის აწინდელი კანკელი თ. გაგარინმა სრულიად ამსგავსა და წარმოადგენს ნამდვილს ასლსა ანუ პირს იოანე ღვთის-მეტყველის კანკელისას. ამ ეკკლესიაში შეიმოსა ბერობა ილარიონ ქართველმა IX საუკუნეში. მთლად მოხატული იყო, მაგრამ სინესტისაგან ჯერ მხატვრობა ჩამოცვივდა და მერე თვით თაღმა იწყო ჩამოწოლა. აი ამ სინესტის მოშორებას არის შემდგარი ღვთის-მოყვარე ბატონიშვილი გიორგი. ეკკლესიას დასავლეთით მარანი და ჩრდილოეთით პალატი აქვს ისევ კლდისაგან გამოკვეთილი; სინათლე აღმოსავლეთის ფანჯრიდგანა აქვს.

აპრილის ე, ქორონიკონსა უჯბ“
1779 წ. [illegible]
[illegible]
[illegible]

უცხოეთი

გერმანია. სოციალ-დემოკრატთა დასის გამარჯვება სარეიხსტაგო არჩევანებზედ ყველას აკვირვებს. უკვირთ მეტადრე რუსეთის გაზეთებს, თითქმის, საერთოდ ყველას. არავის ეგონა თურმე, რომ ეს დასი დღითიდღე იზრდება, ძალა ემატება. ერთ დროს, ბისმარკი სრულიად გადაეფარა მთელს გერმანიას მეფობდა, de-fakto და თავის სურვილისამებრ განაგებდა ქვეყანას, სდევნიდა ყველას, ვინც-კი იმის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა, და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ სასტიკი კანონიც გამოსცა. იმ დროს ყველას ეგონა, რომ ეს თამამი დასი, რომელიც სხვა დასებისაგან მხოლოდ იმითი განირჩეოდა, რომ არა პირადი ანგარიში, არამედ ხალხის კეთილ-ღღეობისათვის ზრუნვა და კაცობრიობის ინტერესი ამოქმედებდა, თუ სამუდამოდ არა, დიდის ხნობით მაინც დაირღვა, განაწილდა, დაიშალა და თითქმის დანადგურდა კიდეცაო. უმთავრესნი წარმომადგენელნი ამ დასისა დევნილ იქმნენ მთავრობისაგან, განშორდნენ სამშობლოს, დადუმდნენ, თითქოს ძალას შეუშინდნენო. გერმანიის მთავრობა დამშვიდდა, გული დაიწყნარა, საშიში მტერი მოვიშორეო, და ბოლოს ბისმარკის სასტიკი კანონიც გააუქმა, ეხლა საჭირო აღარ არისო.

ასე ეგონათ და ძალიანაც მოსტყუვდნენ. ყოველ მოვლენას კაცობრიობის ცხოვრებაში პირვანდელი მიზეზი, სათავე უნდა მოეძებნოს, რომ დაჭეშმარიტებით შეიძლებოდეს ითქვას, დროებითია ეს მოვლენა, გარდამავალი, თუ ნოყიერ ნიადაგზედ ამოსული, ფესვ გამჯდარი, მკვიდრი, დღეგრძელი.

სოციალ-დემოკრატების სწავლა-მოძღვრება მსუბუქის ტვინის მოგონილი არ არის; მისი მიზეზი და სათავე აწინდელ ევროპიელთა ცხოვრებაა, მათ ავლა-დიდების უთანასწოროდ დაყოფა, მცირე ჯგუფის ბედნიერება და უმრავლესობის ჯაფა-ტანჯვა.

ვიდრე ეს მოვლენა სათავეშივე არ შესწყდება, ტყუილად ეგონება ვისმე, რომ შეიძლებოდეს ამ სწავლა-მოძღვრების შეფერხება და მით უფრო მისი დათრგუნვა და ქარს-მიცემა, რასაც ლამობდა ბრძენი ბისმარკი.

შეუძლებელია ეს მეტადრე გერმანიაში.

ბისმარკის ბედნიერ ვარსკვლავად აღიარებამდე, ვიდრე გერმანია არ იყო გარეშე საქმეთაგან გატაცებული და თავისთვის მშვიდობიანად, წყნარად შრომობდა, გერმანია თვალწარმტაც, კეკლუც ქვეყნად ითვლებოდა; ყველა განათლებულ კაცს ჰხიბლავდა და იზიდავდა მთელის დედამიწის ზურგიდამ სწავლით, მეცნიერებით, პოეზიით, სატეხნიკო და სამეურნეო ხელოვნებით.

ეხლა?

განქრნენ გერმანიის გენიოსნი, ფი-

ლოსოფოსნი და მეცნიერნი, რომელთა სიდიადით მთელი კაცობრიობა განცვიფრებული იყო. თან გაჰყვა იმათ ხელოვნებაცა და კეთილ დღეობაც. გერმანია, შედარებით საფრანგეთთან, ინგლისთან და ამერიკასთან, აღარაფერია. ჯარით გაძლიერდა და სხვაფრივ კი ყველაფერში დაქვეითდა. გაუჭირდა ხალხს ცხოვრება, სახელმწიფო ხარჯმა სული ამოართვა. არც ერთ სახელმწიფოდგან ისე არ ილტვის ხალხი, არ სტოვებს თავის სამშობლოს, როგორც გერმანელი. სამშობლო ჯოჯოხეთად გარდაქცეულია და, რა გასაკვირველია, სხვა ქვეყანა არჩიოს, სადაც თავის შრომა-მხნეობით მოპოვებულ ლუკმას არ გაიმწარებს.

ამას შემდეგ, რა გასაკვირველია გამარჯვება სოციალ-დემოკრატებისა, რომელთაც თავის დროშაზედ უწერიათ: „მტრობა ჯარისა და ხარჯის მოტანებისა, მეგობრობა საყოველთაო არჩევანის უფლებისა“. ვიღამ უნდა გაიმარჯვოს, თუ არ ხალხის ტვირთის შემსუბუქების მსურველმა, თუ არ იმან, ვისაც სახალხო საქმის პატრონად თვით ხალხი უნდა დააყენოს?

1874 წელს სოციალ-დემოკრატებს მხოლოდ 379,000 ხმა ჰქონდათ. 1878 წელს, როდესაც თავადმა ბისმარკმა რეიხსტაგი დაითხოვა იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ სასტიკი კანონი არ შეიწყალა, გერმანიის ხალხი ბისმარკს მიეხარო და ისეთი დეპუტატები აირჩია რეიხსტაგში, რომლებმაც მთავრობის კანონ-პროექტი, სოციალისტების დამამხობელი, მიიღო სამის წლით და ამ ვადის შემდეგ კიდევ დაამტკიცა.

ეხლა-კი სულ სხვასა ვხედავთ. კენჭის მეტანე გერმანიაში სულ 10,000,000 კაცია და ამათ რიცხვში 2,000,000 სოციალ-დემოკრატებს მიეხრო, ეს-ი მეხუთედი სახელმწიფოს მკვიდრთა აშკარად მათი მომხრეა და თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ არა კენჭს მექონენი თითქმის მთლად მუშა ხალხია, ლუკმაპურს დანატრულებული, და მაშასადამე, აწინდელის წეს-წყობილობის წინააღმდეგი, მ შინ სოციალ-დემოკრატების ძალა უფრო დიდად უნდა წარმოვიდგინოთ; მთავრობას არა ჰყავს იმდენი ჯარი, რამდენიც სოციალ-დემოკრატების რაზმში კაცი თავლება და, თუ მთავრობამ ეხლანდელი პოლიტიკას გზა არ უქცია, დიდის ამბის მომსწრენი შეიქმნებით.

დეპეშა

19 ივნისს

პეტერბურგი. გზათა სამინისტროს მოხელე ადადუროვი დაინიშნა ციმბირის გზის მართველობის უფროსად; გამგე მოსკოვ-ბრესტის გზისა ვასილიევი—სახაზინო გზათა მმართველობის თავმჯდომარედ.

Бирж. Вѣд. ამბობს, რომ მართალი არ უნდა იყოს ის ხმა, ვითომც ორნაირი სადამოუნო ბაჟი უნდა იქმნას შემოღებული; გაზეთმა ნამდვილად იცის, რომ ჯერ არ არის ამ ბაჟის შემოღების დრო დანიშნული; მრავალნი ამბობენ, არც საჭირო იქმნებაო, რადგანაც გერმანიამ სურვილი გამოაცხადა რუსეთის წინადადებას გზა არ აუქციოსო; სხვა სახელმწიფოებიც, რომელთა შესახებ, საფიქრებელია, ბაჟი იქმნას შემოღებული, ავსტრია და რუმინია, შესაძლოა, თავიანთ სურვილს განაცხადებენო.

რიბინსკი. გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე, რიბინსკიდგან გასულს ხომალდს „ალფონს ზევეკეს“ ცეცხლი მოეკიდა და დაიწვა, რომანოვიდამ 12 ვერსის სიშორეზედ; ჰფიქრობენ, 10 კაცი დაიწვა და მათ შორის გენერალი პეტრუშევსკიცაო.

ლონდონი. დღეს, ნაშუადღევს, მემკვიდრე ცესარევიჩი, წარჩინებულ ამალითურთ, რომელთა შორის ედინბურგის ჰერცოგიც და რუსეთის ელჩიც არიან, გაემგზავრა ვინძორს დედოფალთან სადარბაზოდ. ვინძორში მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, რომელსაც პრინცი ჰენრიხ ბატენბერგი მიეგება და დრაგუნის პოლკის კანვოი ეახლა, წაბრძანდა ციხე-დარბაზში, სადაც დაუხვდა საპატიო ყარაული; ზარბაზნის სროლა დაიწყეს და გვარდიის გრენადერების მუსიკამ რუსეთის საერო საგალობელი დაუკრა. დედოფალი, პრინცესა ბეატრისე და სხვა სამეფო გვარეულობის წევრთა დასწრებით, მიესალმა მის უმაღლესობას.

20 ივნისს

პეტერბურგი. გენერალ პეტრუშევსკის სიკვდილის გამო „Русскій Инвалидъ“—ი ამბობს, რომ პეტრუშევსკი, რომელიც რუს-ოსმალთა ომის შემდეგ დანიშნულ იქმნა მეორე არმეისკი კორპუსის კომანდირად და რომელსაც 1891 წელს ებოძა ინფანტერიის გენერლობა, როცა გემს ცეცხლი წაეკიდა, წყალში გადავარდა და ცურვით გავიდა ნაპირამდე, მაგრამ იქ წვეთი დაეცა და იმ წამსვე გარდაიცვალაო. გვამი მისი რიბანსკს წაასვენეს.

გუშინ ჩაჰყრეს საძირკელი პირველის საგომეოპატიო სამკურნალოსი პეტერბურგს.

გამოცხადებულია წესები სოლოვექსილებით სესხის გაცემისა სახელმწიფო ბანკიდამ მიწად-მფლობელთათვის. ეს წესები შემოღებულ იქმნება პირველ ივლისიდამ მათ მაგიერად, რომელიც მოქმედობდა 1892 წლის 16 ივნისიდამ.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემების შავსა ზღვაზედ

რკინის გზის განრიგი

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. აღს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე ოკლე გზით, შეივლის ნოვოროსსიისკში

ვირაობით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

განცხადებანი

ი ს ყ ი დ ე ბ ა

ქართულ წიგნის მაღაზიებში:

	კაპ.
ბამბა და **მისი მოყვანა**, გა-	
მოც. „მეურნის“ რედაქც. .	15
და მოსე ჯანაშვილის გამოცემანი:	
საქართველოს გეოგრაფია, **სამცხე**.	25
ალვადგინე	30
საუნჯე მე-X საუკუნისა . .	20
საუნჯე და ალვადგინე ერთად .	40
საქართველოს **სამეკლესიო** ისტორია.	45
საქართველოს **მოკლე ისტორია**.	60
ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა	40
მწერლობა მე-IX—X საუკუნისა	40

ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

გორში არსენ კალანდაძესთან.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერაეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ

მოთხრობა

Ე. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

გამოცემული

Თ. ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Д. ᲥᲚᲘᲕᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმ ის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ს. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ს. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ს. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Teichner's Fettpuder

მსუქანი პუდრა ლეიხნერისა

კოლოფით 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

ლ. ლეიხნერი, ბერლინში,

ბელგიის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. (6—5)



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენედიქტინი)

Fécamp-ის საბატონო (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უკეთესად საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l Etranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში ᲗᲧᲝᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲔᲑᲨᲘ.

„ᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲐᲞᲠᲘᲖᲘ“

ᲓᲣᲮᲔᲑᲘ—„ᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲐᲞᲠᲘᲖᲘ“
ᲝᲓᲔᲙᲝᲚᲝᲜᲘ—„ᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲐᲞᲠᲘᲖᲘ“
ᲡᲐᲞᲝᲜᲘ—„ᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲐᲞᲠᲘᲖᲘ“

„მიუსგ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსგ“ სახ. ᲓᲝᲓᲔᲒ.

სატესნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„ᲙᲐᲞᲠᲘᲖ ᲜᲔᲕᲘᲡ“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—8)

Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Іюня 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.